



საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

მოვსეს ხორენაცი

მოვსეს ხორენაცი, მოსე ხორენელი, V-VI სს. დასაწყისის სომეხი ისტორიკოსი. აღსანიშნავია მისი „სომხეთის ისტორია“, სადაც თხრობა იწყება ლეგენდარული ეთნარქი ჰაიკიდან (ჰაოსიდან) და გრძელდება 428-მდე. ეს იყო სომხეთის გაბმული ისტორიის დანერის პირველი მცდელობა. მ. ხ-მა ნაშრომში თავი მოუყარა ზეპირ, წერილობით, ეროვნ. და უცხოურ წყაროებს. პირველმა გამოიყენა ძვ. სომხ. ეპოსი; თეორ. მსჯელობითა და მეთოდოლოგიით დიდად გაუსწრო იმდროინდელ სომეხ ისტორიკოსებს, რისთვისაც მას „სომხეთის ისტორიის მამა“ უწოდეს, მის ნაშრომს კი – სომეხთა „ეროვნული სახარება“.

მ. ხ-ის თხზულებაში საყურადღებო ცნობებია საქართველოს შესახებ. მასში მოთხრობილია ქართველთა შორის კერპთაყვანისმცემლობის გავრცელებაზე, ქართლის სეფენულთა, გუგარეთის (ანუ ქვემო ქართლის) საპიტიახშოსა და ბაგრატიონების წარმოშობის, ქართლის მეფე მირიანის, წმ. ნინოსა და ქართლში ქრისტიანობის გავრცელების, არშუშა პიტიახშის, არჩილ მეფისა და სხვათა შესახებ. როგორც ჩანს, ამ ნაშრომით უსარგებლიათ ლეონტი მროველსა და სხვა ქართვე. ისტორიკოსებს. „ისტორია“ თარგმნილია რუს. და სხვა უცხ. ენებზე. არსებულია ძვ. ქართ. თარგმანიც.

ლიტ.: საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. 2, თბ., 1973; Д ж а н а ш и а С . Н., Критике Моисея Хоренского, „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“, 1937, ნაკვ. 6; М к р я н М . М., Мовсес Хоренаци, Ер., 1969.

გ. მაისურაძე
